



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 9**

ქ.ლანჩხუთი

9.09.2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის ქართული ოცნება-კონსერვატორების თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე, ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარის მოადგილე ელისო ჭიჭინაძე(წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია). საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ ნანა ბუეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

სხდომის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს და იგი შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო - საადმინისტრაციო ცენტრში“ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

/მომხსენებელი დ. წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა მორიგი საკრებულოს სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 16 სექტემბერი 10 საათი.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში“ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ დირექტორმა დავით წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში“ პედაგოგებს უახლესი მეთოდით ჩაუტარდათ ტრენინგი (შემდგომ ტესტირება), რომელიც ითვალისწინებს სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში ახალი მეთოდური სწავლების პროგრამას, რაც პედაგოგებმა წარმატებით გაიარეს. შესაბამისად, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ხვდება უახლესი, თანამედროვე სასწავლო პროგრამით. მისი თქმით, ტენდერებიდან მიღებული ეკონომიები, ძირითადად მიიმართა ავეჯის და ინვენტარის შესაძენად. 2 (ორი) ახალაშენებული საბავშვო ბაღისთვის შეძენილ იქნა ახალი ავაჯი (საბავშვო მაგიდები, ხის საბავშვო სკამები , ბავშვის საწოლები, ლეიბები, საბნები, მასწავლებლის მაგიდები, თვალსაჩინოებისა და ბავშვის

ტანსაცმლის კარადები, ექთნის ოთახის სრული ინვენტარი (კარადა,საწოლი, მაგიდა), სამზარეულოსა და საკუჭნაოს ავეჯი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სურსათის უვნებლობის სააგენტოს მოთხოვნებთან (იგულისხმება რეცხვა-დეზინფექცირებადი საშუალებებისადმი გამძლე ზედაპირი). ორივე ბაღს აქვს დარბაზი, რომლისთვისაც შეძენილ იქნა სკამები, ფარდები, როგორც სცენისათვის ასევე ჯგუფებისათვის. მეთოდური სამუშაო მასალები: ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები, წებოები, პლასტელინები, პოსტერები, თვალსაჩინოები, საბავშვო წიგნები. როგორც ეზოს ასევე შიდა სათამაშოები. ოცდაერთივე ბაღში მოთხოვნის შესაბამისად შედის ახალი ხორცსაკები მანქანები, წყლის გამაცხელებლები, გამწოვები, ორკამერიანი მაცივრები. საჭმლის მოსამზადებელი ღუმელები, ასევე პირველადი დახმარების სამედიცინო პრეპარატები. კვების უზრუნველყოფის კუთხით სახელმწიფოს მოთხოვნაა, სკოლამდელ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მცენარეული წარმოშობის პროდუქტები ჩაანაცვლოს ცხოველური წარმოშობის პროდუქტებმა, რომლის ფასი გაცილებით მაღალია. აუცილებლობა დადგა იმისა, რომ აღნიშნული ტიპის პროდუქტების გადასატანად ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“ ჰყავდეს სპეციალური „სამაცივრე ავტომობილი“, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი წლის ბიუჯეტში. ახალ სტანდარტებთან გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარე წელს არის მოთხოვნა სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებები აღჭურვილ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, რომლისთვისაც საჭიროა 10 000 ლარზე მეტი, აღნიშნული თანხა მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო. რომ არ მოხდეს ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ დაჯარიმება, დავით წულაძემ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს სთხოვა, დახმარება გაეწიათ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საბავშვო ბაღს არ აქვს დარბაზი, ასევე შენობას ესაჭიროება რემონტი. იგი დაინტერესდა, თუ რა იგეგმება ამ კუთხით.

ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ დირექტორმა **დავით წულაძემ** განმარტა, რომ ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“ ეკონომიის გაკეთების ხარჯზე უზრუნველყოფს შიდა სარემონტო სამუშაოების განხორციელებას. დარბაზის მშენებლობა კი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს არ მიეკუთვნება.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის N1-ლი საბავშვო ბაღი, სადაც სწავლობს 164 აღსასრდელი არის ძალიან გადატვირთული, რომელსაც განტვირთვის მიზნით, სასიცოცხლოდ ესაჭიროება ახალი დარბაზის მიშენება. დეპუტატის თქმით, როცა მოხდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა,

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მუნიციპალიტეტში მოქმედი საბავშვო ბაღების საკითხების შესწავლა, გამოიკვეთა, რომ ქ. ლანჩხუთში 15-მდე აღსაზრდელი N1-ლი საბავშვო ბაღის გადატვირთვის გამო ბაღის მიღმა დარჩა. მისი თქმით, ეს დაუშვებელია, რადგან ყველა ბავშვი თანაბარ პოზიციაში უნდა იყოს და მიიღოს ყველა სიკეთე, რომელსაც სახელმწიფო მათ სთავაზობს. მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედ საბავშვო ბაღში არის ყველა საშუალება იმისა, რომ დამატებულ იქნას ერთი ჯგუფი, სადაც მოხდება ამ ბავშვების მიღება.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შესრულებულია 48 %-ით. ფინანსთა სამინისტროდან შემოსულია წერილები რომ ბიუჯეტის ზრდა არ განხორციელდეს არც ერთი თეთრით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ ვერ გამოიყოფა ის თანხები, რაც დამატებითი ჯგუფის შექმნისათვის იქნება საჭირო. თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდება შესაბამისი თანხების მობილიზება, რომელიც ძირითადად მოსალოდნელია მიღებულ იქნას ბუნებრივი რესურსებიდან და არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან, ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ცენტრისთვის გამოიყოს დამატებითი თანხები.

დეპუტატმა **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“ აუცილებლად ესაჭიროება „სამაცივრე ავტომობილი“, რადგან დაცული იყოს სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ დადგენილი ყველა ნორმა.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობა თოვლის შედეგად ჩაინგრა, რის შემდგომ მოხდა საბავშვო ბაღის განთავსება სხვა შენობაში, რომელიც საბავშვო ბაღისთვის შეუფერებელია. ანალოგიური მდგომარეობაა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ახალსოფლის საბავშვო ბაღში. იგი დაინტერესდა თუ როდის აშენდება ახალი ბაღის შენობები, რათა პედეგოგებს და ბავშვებს ნორმალურ გარემოში მოუწიოს ყოფნა.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღები, წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. ვინაიდან საკითხისადმი, როგორც ბიუროს წევრების ასევე საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო უმჯობესია საკითხი დეტალურად განხილვის მიზნით შეტანილ იქნას 2016 წლის 16 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში“ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ბიუროს წევრთა მოთხოვნითა და

საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო, შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ დირექტორი დავით წულაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** ბიუროს წევრებს თხოვნით მიმართა, რომ აღნიშნული საკითხი საკრებულოში მოქმედ ყველა კომისიას და ფრაქციას დეტალურად განეხილა და ერთიანად, ჯეროვნად განხილული საკითხი შეტანილიყო 2016 წლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალურ საკითხთა, განათლებისა, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს- „ქართულის ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 16 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ. მან აღნიშნა, რომ განკარგულება, რომელიც განსაზღვრავს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობას, აღმოჩენილია ხარვეზი, კერძოდ, კომისიის შემადგენლობაში დაფიქსირებულია დეპუტატი ომარ გოგიჩაიშვილი. განკარგულებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

საპრივატიზაციო ნუსხიდან და გეგმიდან (მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულში, ყოფილი წყალსადენის შენობა-ნაგებობა, გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულში ყოფილი ტექნიკუმის ტერიტორიაზე N4 შენობა-ნაგებობა) და ერთი ობიექტის, კერძოდ: შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი კულტურის სახლის დამატებით.

დეპუტატი **კახა ურუშაძე** დაინტერესდა თუ რა ფასად მოხდა აღნიშნული ობიექტების რეალიზება.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია** განმარტა, რომ აუქციონზე პრივატიზებული ობიექტებიდან მიღებულმა შემოსავალმა ჯამში შეადგინა დაახლოებით 32 000 ლარი.

დეპუტატი **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, რომ აუქციონით პრივატიზებული ობიექტებიდან მიღებული თანხა ჩარიცხულია თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია** განმარტა, რომ პრივატიზებული ობიექტებიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოტანილია თანხის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილის შემოტანა განხორციელდება დღეს.

დეპუტატმა **ია ჩხაიძე** აღნიშნა, რომ იგი მიესალმება შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი კულტურის სახლის საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმაში შეტანას, ვინაიდან როცა შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები ტარდება ის ამახინჯებს ადმინისტრაციული ერთეულის იერსახეს. მანვე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, საუბრები მიმდინარებს იუსტიციის სახლისთვის შენობის გამოყოფასთან დაკავშირებით და დაინტერესდა თუ რა პროცესშია აღნიშნული საკითხი.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია** განმარტა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის შენობა აუქციონზე გავა ნულოვანი განაკვეთით, რადგან მისი შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ობიექტის დაშლის ღირებულება აჭარბებს შენობა-ნაგებობაზე გამოყენებულ მასალების ღირებულებას. მეორე საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროდან თხოვნაა, ქალაქის ცენტრში არსებული ყოფილი კომისარიატის შენობის გადაცემასთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

დეპუტატი **ია ჩხაიძე** დაინტერესდა აღნიშნული შენობა მთლიანად იქნება თუ არა ათვისებული იუსტიციის სამინისტროს მიერ. მისი თქმით კარგი იქნება რამდენიმე ოთახი ახალგაზრდული ცენტრისთვის იქნას გამოყენებული.

დეპუტატმა **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი უნივერსიტეტის შენობა მნიშვნელოვნად ამახინჯებს ადმინისტრაციული ერთეულის იერსახეს. დეპუტატის თქმით, კარგი იქნება თუ აღნიშნული ობიექტის გადმოცემა მოხდება ეკონომიკის სამინისტროს მიერ და მას მუნიციპალიტეტი საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმაში შეიტანს.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის ცენტრში თავისუფლების ქუჩაზე არსებული ყოფილი კინოს შენობა უკვე მრავალი წელია სავალალო მდგომარეობაშია, მიმდებარე ტერიტორია ფაქტობრივად ნაგვის ბუდედ იქცა. მოსახლეობის თხოვნაა, რომ მოხდეს აღნიშნული შენობის ნაგვისგან გაწმენდა, რადგან იგი საფრთხეს წარმოადგენს მაცხოვრებლებისთვის. აუცილებელია მესაკუთრეს გაეგზავნოს წერილი და აღნიშნული ტერიტორია მოწესრიგებულ იქნას, ან გადმოეცეს მუნიციპალიტეტს და თვითონ უზრუნველყოს ობიექტის დასუფთავება და მოწესრიგება.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომელზეც რამდენჯერმე გამოცხადდა აუქციონი, მაგრამ მაღალი ფასის დადების გამო ობიექტის პრივატიზაცია ვერ მოხდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ქ. ლანჩხუთში მდებარე სკოლა-ინტერნატის პრივატიზაცია.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ ყოფილი სკოლა-ინტერნატი არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, რომლის პრივატიზაციას გეგმავდა. ადგილზე იყვნენ ჩამოსული ინვესტორები, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხდა. შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა მიმართოს ეკონომიკის სამინისტროს აღნიშნული ობიექტის გადმოცემასთან დაკავშირებით.

დეპუტატი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, მოხდება თუ არა ეკონომიკის სამინისტროსგან ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათის დაწყებითი სკოლის და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დანგრეული შენობა-ნაგებობების გადმოცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ ჭინათის დაწყებითი სკოლის შენობის აუქციონზე გატანას გეგმავს ეკონომიკის სამინისტრო.

მისი თქმით, ეკონომიკის სამინისტროს უნდა გაეგზავნოს მოთხოვნა აღნიშნული შენობების გადმოცემასთან დაკავშირებით.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის შენობა (625 კვ.მ) სავალალო მდგომარეობაშია და უმჯობესია აღნიშნული შენობის პრივატიზება დანგრევამდე განხორციელდეს.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ ბიუროს წევრების მიერ გაჟღერებული საკითხებზე შესაბამისი სამსახური მიმართავს ეკონომიკის სამინისტროს, რათა აღნიშნული შენობა-ნაგებობები გადმოვიდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ როცა სოფლებში ხორციელდება ამა თუ იმ ობიექტების პრივატიზება, უნდა მოხდეს მაჟორიტარი დეპუტატის საქმის კურსში ჩაყენება, რადგან მოსახლეობას აინტერესებს თუ მათ სოფელში რომელი ობიექტები არის პრივატიზებული.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მომზადდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, რომელიც დაეწერა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას. ანგარიში მოიცავს ორ საკითხს: პირველი შეეხება მინდობით აღზრდის შესახებ სახელმწიფო პროგრამას, ხოლო მეორე-რეინტეგრაციის შესახებ სახელმწიფო ქვეპროგრამას. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებულ იქნა მონიტორინგი აღნიშნულ საკითხებზე და გამოიკვეთა ძალიან დიდი პრობლემები, რომლებიც მინდობით აღზრდას უკავშირდება. მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისა, ნორმატიულ დონეზე მინდობით აღზრდის სფეროში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის. ადგილობრივ დონეზე აღნიშნულ საკითხს ზოგადად სოციალური მომსახურების სააგენტო არეგულირებს, რომელშიც მუნიციპალიტეტის ჩართულობა სათანადო დონეზე არ არის. წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე ვერ მოესწრო(უახლოეს სხდომაზე იქნება განხილული). ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშის შესახებ პასუხი გვიანდებოდა, წარმოდგენილი დოკუმენტი მან განიხილა გამგეობის შესაბამის სამსახურის ხელმძღვანელთან და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ საკითხში მუნიციპალიტეტის ჩართულობა უნდა იყოს ბევრად მეტი. ასევე საჭიროდ ჩაითვალა შეიქმნას სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე ფულადი დახმარების გაცემას. სახელმწიფოსგან ხდება ფულადი დახმარების გაწევა ამ კატეგორიის ბავშვებისთვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როცა მოხდება მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირება, აუცილებლად უნდა იყოს

გათვალისწინებული ეს საკითხი. ქვეპროგრამის საბოლოო მიზანი იქნება ბავშვები დაუბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახებს. დეპუტატის თქმით, ეს თემა არის ძალიან სათუთი, სენსიტიური და დიდ ყურადღებას საჭიროებს, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისგან, ასევე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისგან.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თითოეული წევრი მაქსიმალურად არის ჩართული კომისიის მუშაობის პროცესში. კომისია სწავლობს ყველა საკითხს და აქტიურად აყენებს მუნიციპალიტეტისთვის საჭირო ბევრ ახალ ინიციატივას, მაგრამ სამწუხაროდ რიგ შემთხვევებში უმეტესობის განხორციელება არ ხდება. მან მაგალითისთვის მოიყვანა მის მიერ დაყენებული ინიციატივა, რომელიც მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლებში მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (ორი და მეტი ბავშვი) სწავლის საფასურის შეღავათს გულისხმობდა, რაც ბიუროს სხდომაზე, როგორც ბიუროს წევრების, ასევე მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მოწონებული იქნა. დეპუტატი გეგმავდა ახალ სასწავლო წელს მისულიყო სამუსიკო სკოლაში და ამის შესახებ თავად ემცნო სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიმდინარე წელს ამ პროექტისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 7 000 ათასი ლარი ვერ გამოიძებნა (როცა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ბი გადატვირთულია იმ რაოდენობის კადრებით, რაც რეალურად არ არის საჭირო) და საკითხის განხორციელება მომავალი წლისთვის გადაიდო. დეპუტატის აზრით, თუ მსგავსი მნიშვნელობის საკითხების განხორციელება არ ხდება, მაშინ ის ვერ ხედავს საკუთარ ადგილს საკრებულოში, რადგან ვერანაირი მუშაობა და ინიციატივა შედეგს ვერ მოიტანს, თუ რეალურად არ განხორციელდა. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და გამგებლის მოადგილეს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი თანხა რათა, ამ საკითხის გადადება მომავალი წლისთვის არ მოხდეს.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ სამხატვრო სკოლის პედაგოგებისგან წამოვიდა ინიციატივა, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნას ზაზა სულაბერიძის სახელობის მუზეუმი. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მოიწონა წამოყენებული ინიციატივა. სახლში, სადაც ეს პიროვნება ცხოვრობდა, იგეგმება მუზეუმის გახსნა, რომელშიც ამჟამად განთავსებულია მის მიერ შექმნილი უნიკალური ექსპონატები. ფინანსური უზრუნველყოფა არ სჭირდება აღნიშნული საკითხის მოგვარებას. ამ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ მუნიციპალიტეტის კეთილი ნება, რომ მოხდეს მუზეუმის ბალანსზე აყვანა.

დეპუტატმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მუზეუმის ბალანსზე აყვანა ნიშნავს ვალდებულებას, რომ მოვლა-შენახვის ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა უნდა უზრუნველყოს.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** განმარტა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან არ იქნება საჭირო რაიმე თანხის გამოყოფა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. მომავალი წლიდან თავისთავად საჭირო იქნება გარკვეული ფინანსები. მან

აგრეთვე აღნიშნა, რომ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მონიტორინგი ჩაატარა. ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედ საბავშვო ბაღში არის სავალალო მდგომარეობა, კერძოდ, სახურავიდან წყალი ჩამოდის, რომელიც გადავიდა ელექტროგაყვანილობის სადენზე და ბაღის მომსახურე პერსონალი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. სანამ უბედურება არ დატრიალდება, ეს პრობლემა აუცილებლად მოსაგვარებელია. დეპუტატი დაინტერესდა, თუ როდის მოაწესრიგებს აღმასრულებელი ხელისუფლება აღნიშნულ საკითხს.

დეპუტატმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მაცხოვრებლები ითხოვენ მცენარეების ე.წ. „ამერიკული პეპლისგან“ შეწამვლას. ის დაინტერესდა, თუ როდის მოაგვარებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება აღნიშნულ პრობლემას.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო